

საგადასახადო სიახლეები

! განისაზღვრა საბაჟო დეკლარაციით დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს შემოსავლების სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება გარკვეული პირობების არსებობისას პირს შეუზღუდოს საბაჟო დეკლარაციით დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება.

პირებს ჩათვლის მიღების უფლება შეეზღუდებათ:

- დღგ-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის, ყალბი დოკუმენტის გამოყენების, აგრეთვე, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას;
- საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში;
- შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე;

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 27 იანვარი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/89c8fb3e-5004-49e1-b1ce-d5b2155c656a>

! განისაზღვრა არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის ან მოპედის რეალიზაციის დროს ნამეტი შემოსავლის დეკლარირების წესი

არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის ან მოპედის რეალიზაციის განმახორციელებელი ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტს მათი იმპორტიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში და იბრუნებენ გადახდილ აქციზის ან/და იმპორტის გადასახადის თანხებს, ვალდებული იქნებიან გადახდილი აქციზის ან/და იმპორტის გადასახადის თანხის დაბრუნებით წარმოშობილ ნამეტ შემოსავალზე საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული გადასახადის თანხის დაბრუნების პერიოდი წინ უსწრებს ან ემთხვევა სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდს, მიღებული ნამეტი შემოსავლის ოდენობის თანხაში გათვალისწინებული უნდა იყოს დაბრუნებული გადასახადის თანხა. ხოლო თუ გადასახადის თანხის დაბრუნება ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის შემდგომ პერიოდში, თანხის დაბრუნების საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში ნამეტ შემოსავლად ასახვას ექვემდებარება მხოლოდ დაბრუნებული გადასახადის თანხის ოდენობა.

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 31 მარტი

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6455628?publication=0>

! განხორციელდა ცვლილება დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესში

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, საგადასახადო დავალიანების ან სხვა ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, ან სხვა წესით რეალიზაციის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან აღნიშნული ოპერაციის გაუქმების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ აცნობონ საგადასახადო ორგანოს და მოახდინონ შესაბამისი დღგ-ის თანხების შემცირება.

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებით განისაზღვრა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი პირის მიერ დღგ-ის თანხის კორექტირებისა (გაუქმების) და შესაბამის ოპერაციაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხების აღდგენის წესი.

ნორმატიული აქტი: „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანება
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 25 თებერვალი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/b03d8e57-c998-4465-b20d-43c23d362ad1>

! განხორციელდა ცვლილება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის განცხადებაში

პირები, რომელთაც წარმოეშვათ დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის დაგვიანებით განხორციელების შემთხვევაში ვალდებული იქნებიან რეგისტრაციის შესახებ განცხადების შესაბამის გრაფაში ასევე მიუთითონ რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის პერიოდიდან რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართვის საანგარიშო თვემდე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების შესახებ ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, აქამდე აღნიშნული პირები ვალდებული იყვნენ განცხადების შესაბამის უჭრაში მიეთითებინათ, მხოლოდ რეგისტრაციის განცხადებით მომართვის თვეში რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა იმ გათავისუფლებული ოპერაციებისა, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით) თანხა.

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 31 იანვარი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/f695f000-4359-4b0b-af8b-4e5bab334098>

! დამტკიცდა აღრიცხვის ახალი ჟურნალი ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი ობიექტებისთვის

ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი ის ობიექტები, რომლებიც ნავთობპროდუქტების მიწოდებას ახორციელებენ როგორც თვითმომსახურების გზით, ასევე თვითმომსახურების გარეშე, ვალდებული იქნებიან განცალკევებულად აღრიცხოვონ დღის ჭრილში მიწოდებული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნული მიზნით, დამტკიცდა აღრიცხვის ახალი ჟურნალი („ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაციის ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი ერთ ობიექტზე ორი სარეალიზაციო ფასის არსებობის შემთხვევაში“).

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 31 იანვარი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/c287b209-9158-4ef9-8596-ab5e31a07c4a>

სხვა საკანონმდებლო სიახლეები



გადაიწია სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადა

1 წლით გადაიწია სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ე.წ. კონსოლიდაციის ვალდებულებამ, 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული საწარმო, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, ვალდებულია 2026 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს საწარმოს ან/და ფილიალის სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოთხსენებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო 2027 წლის 1 იანვრიდან იღებს გადაწყვეტილებას ამ ვალდებულების დამრღვევი მეწარმის რეგისტრაციის ხარვეზიანობის შესახებ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მას 3-თვიან ვადას უდგენს.

ნორმატიული აქტი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 19 მარტი

წყარო: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6447030?publication=0>



განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამაც განსაზღვრა სარეგისტრაციო მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე, ჯარიმით არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით ან უამისოდ.

ხოლო, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტით დადგენილი სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არატეროვნად შესრულების შემთხვევაში დაადგინა პასუხისმგებლობა ჯარიმით არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ჯარიმით არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით ან უამისოდ. იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით.

ნორმატიული აქტი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 31 მაისი

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6460464?publication=0>



გამოქვეყნდა IASB მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის განახლებული ვერსია

IASB-მა მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის განახლებული ვერსია გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ხსენებული სტანდარტი ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან, ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

წყარო: <https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2762>



სამოქმედოდ იქნა შემოღებული აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტების განახლებული ვერსიები

სამსახურის (SARAS) უფროსის 2025 წლის 25 თებერვლის № ნ-1 ბრძანებით სამოქმედოდ იქნა შემოღებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით (2023-2024 წლის გამოცემა) გათვალისწინებული ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი და აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები. ცნობარს დაემატა ნაკლებად რთული სუბიექტების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ნრს-ების ასს). ასევე, სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკის კოდექსი (IESBA Code) - 2024 წლის გამოცემა.

წყარო: <https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2759>



შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

შეიცვალა ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების შემთხვევაში სანქციის ოდენობა, როგორც პირველადი ჩადენის ასევე განმეორების შემთხვევაში. ასევე განისაზღვრა დაჯარიმების დადგენილების აღსრულების წესი. განისაზღვრა სასმელი წყლის უკანონოდ მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაჯარიმების იძულებითი აღსრულების წესი.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 აპრილი

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6448745?publication=0>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განახლდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალი. განახლდა ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები. განისაზღვრა ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც პირი ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად ითვლება.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 6 თებერვალი

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6407866?publication=0>

საკონტაქტო ინფორმაცია

აფაქიძის ქ.5, ტიფლის ბიზნეს
ცენტრის მე-11 სართული, თბილისი

+995 032 243 22 81

tbilisi@ecovis.ge

www.ecovis.ge